მინდობილობის შედგენი თარიღი: 2021 წელი, 12 ნოემბერი
მინდობილობის შედგენის ადგილი: ქ. თბილისი

შპს „ დონა გრუპ”-ის (ს/კ:- 206345454) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა, დირექტორმა, **შალომ შაიმ** (პ/ნ ISR 30321624) (შემდგომში მოხსენიებული როგორც - **მიმნდობი**)

შპს „ლენდ მარკ პროჯექტი“ -ს (ს/კ: 405221843) დირექტორს - ხათუნა კიკვაძეს (პ/ნ:01017008247) და შპს „ლენდ მარკ პროჯექტი“-ს 100%-იან წილის მესაკუთრეს ავთანდილ მახარობლიშვილს (პ/ნ:01008018073) (შემდგომში: ხათუნა კიკვაძე და ავთანდილ მახარობლიშვილი ერთობლივად მოხსენიებულია როგორც - **მინდობილი პირი**)

მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

მინდობილი პირი (როგორც ერთობლივად ისე ცალცალკე) უფლებამოსილია წარმოადგინოს **მიმნდობი** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების სამსახურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში, **ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი №70-ში (კორპუსი 2) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.12.01.005.019)** არსებული სამშენებლო ობიექტის მშენებლობის ვადის გაგრძელების მიზნით. ასევე, მიმნდობი უფლებამოსილებას ანიჭებს მინდობილ პირს, განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება და დავალება, რაც დაკავშირებული იქნება ძირითადი ვალდებულების შესრულებასთან.

მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია მიმნდობის სახელით, წარადგინოს და ატვირთოს ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს ყველა აუცილებელ განცხადებას და სხვა ოფიციალურ საბუთებს,

მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია ხელზე მიიღოს/გაეცნოს ყველა საჭირო დოკუმენტაციას, რომელიც გამოიცემა წინამდებარე დავალებაში მითითებული დავალების შესრულების საფუძველზე.

მინდობილი პირი, უფლებამოსილია, აღნიშნული დავალების შესრულებაში ჩართოს: კომპანიის ქვეკონტრაქტორები და მასთან შრომითი ხელშეკრულებით დაკავშირებული პირები.

მინდობილ პირს, წინამდებარე დავალების შესასრულებლად, უფლება აქვს წარმოადგინონ მიმნდობი, როგორც ერთობლივად, ასევე, ცალცალკე.

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია მასში აღნიშნული დავალების სრულად შესრულებამდე.

შპს „ დონა გრუპ”-ის

დირექტორი: შალომ შაი

შალომ შაი